



# კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის  
მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

<p>1931 წლის ივნისის 30.</p>	<p>№ 12 განყოფილება პირველი</p>	<p>ა/კსფსრ სახლ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართვე- ლობის მიერ გამოცემული.</p>
----------------------------------	-------------------------------------	---

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

**დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა  
და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.**

- მუხ. 154. სახელმწიფო მრეწველობის მმართველობის რეორგანიზაციის შესახებ.  
155. მუშათა და გლეხთა მილიციის რეორგანიზაციისა და კადრების მომზადების მსვლე-  
ლობის შესახებ.

## დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

156. საქართველოს სსრ სიღნაღის რაიონის წნორის-წყალის სასოფლო საბჭოს თავმჯდომე-  
რის მოხსენების შესახებ.

## დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

157. ა/კსფსრ წყალთა მეურნეობის ორგანოების რეორგანიზაციის შესახებ.  
158. ა/კსფსრ-ში გეო-ტოპოგრაფიული და კარტოგრაფიული სამუშაოების მოწესრიგების  
შესახებ.  
159. ა/კსფსრ-ში ხანძარისაგან ტყეების დაცვის შესახებ.  
160. 1931 წელს ა/კსფსრ-ში წყლის გამოსაღების ჩატარების შესახებ.

## დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

### 1.5-4. სახელმწიფო მრეწველობის მმართველობის რეორგანიზაციის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. უფლება მიეცეს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დააარსოს ხოლმე, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ან ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს ნებართვით, ამიერკავკასიის შენაერთები სახელმწიფო მრეწველობის დარგების მმართველობისათვის.

ეს შენაერთები ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ორგანოებია და მოქმედებენ დამოუკიდებელი იურიდიული პირების სახით სამეურნეო ანგარიშის საფუძვლებზე, ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს საგვგამო დავალების შესაბამისად.

2. ნება დაერთოს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს:

ა) მოსპოს ხოლმე ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ქვემდებარე ტრესტებისა და სახელმწიფო სააქციო საზოგადოებების მოქმედება;

ბ) დაამტკიცოს ხოლმე შენაერთების წესდებები და დაწესოს, ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, მათი საწესდებო კაპიტალების საორიენტურო და საბოლოო რაოდენობა;

გ) განსაზღვროს ხოლმე შენაერთების სტრუქტურა და დაამტკიცოს სამეურნეო ანგარიშზე გადასაცემი ამ შენაერთების ორგანოების (ნაწილების) დებულებანი;

დ) დაარსოს ხოლმე საამიერკავკასიო მნიშვნელობის ახალი ტრესტები როგორც შენაერთების შედგენილობაში, ისე მათ გარეშე, უკანასკნელ შემთხვევაში — შენაერთის უფლებებით ან უამისოდ, ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს შეხედულებისამებრ;

უკეთუ ამ ტრესტების მოსაწყობად გამოსაყოფია ქონება, რაც ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გამგებლობაშია, ან ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ხარჯთაღრიცხვით ნასიკვნივე სახსარი, — ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თუ ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს წინასწარი ნებართვა აღნიშნული ტრესტების დაარსებისათვის სპირო არ არის;

ე) დაამტკიცოს ხოლმე ტიპური დებულებანი როგორც ტრესტებში, ისე უშუალოდ შენაერთებში შემავალი წარმოების ხასიათის საწარმოთა შესახებ, აგრეთვე ტიპური დებულებანი წარმოების ხასიათის საწარმოთა ნაწილების (სააქრო, განყოფილება და სხვ.) შესახებ.

3. ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გამგებლობაში რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოთა გადაცემის საკითხი გადაწყდება ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და ა/კსფსრ შედგე-

ნილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თუ ეკონომიური თათბირის შეთანხმებით.

უკეთეს შეთანხმება არ მოხდა, საკითხს გადასწყვეტს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება შეიძლება საერთო წესით განპროტესტებულ იქნეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში.

4. ამა დადგენილების მე-2 მუხლის „ა“, „დ“ და „ე“ პუნქტები და მე-3 მუხლი გავრცელებულ იქნეს ა/კსფსრ სხვა სახალხო კომისარიატებზედაც.

5. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ შეუთანხმონ თავიანთი კანონმდებლობა ამა დადგენილებას.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის მდივანი გ. სულთანოვი.

1931 წ. ივნისის 29.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 184 №-ში 1931 წ. ივლისის 7-ს.

## დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

### 155. მუშათა და გლეხთა მილიციის რეორგანიზაციისა და კადრების მომზადების მსვლელობის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ, სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. მაისის 24-ის დადგენილებით დამტკიცებული—მუშათა და გლეხთა მილიციის დებულების (სსრკ კან. კრ. 1931 წ. 33 №-ი, 247) საფუძველზე:

ა) დაამთავრონ ერთი დეკადის ვადაზე მუშათა და გლეხთა მილიციის რეორგანიზაცია, იმ ფუნქციებისაგან განთავისუფლებით, რაც დაკავშირებულია აღმასრულებელი კომიტეტების საადმინისტრაციო განყოფილებათა გაუქმებასთან;



ბ) გამოსცენ ერთი თვის ვადაზე დებულეზანი მილიციის მთავარი სამმარ-  
თველოებისა და მილიციის ადგილობრივი ორგანოების შესახებ;

გ) მოაწყონ მილიციის სათანადო რესპუბლიკანურ სამმართველოებთან  
სკოლები საშუალო საკომანდო-პოლიტიკური შედგენილობის მომზადებისა და  
გარდამზადებისათვის—ექვსი თვის განმავლობაში სწავლებით:

	მომზადება	გარდამზადება
აზერბაიჯანის სსრ-ში . . .	75 კაცი	25 კაცი
საქართველოს სსრ-ში . . .	20 „	25 „
სომხეთის სსრ-ში . . . . .	10 „	20 „

დ) მოაწყონ ორთვიანი კურსები მილიციის სამერიგეო და უმცროსი სა-  
კომანდო შედგენილობის მომზადებისათვის დიდრონ სარაიონო ცენტრებში:

	I მოწვევისა	II მოწვევისა	III მოწვევისა
	VII/1-დან VIII/31-დე	IX/1-დან X/31-დე	XI/1-დან XII/31-დე
აზერბაიჯანის სსრ-ში . . .	450	450	500
საქართველოს სსრ-ში . . .	350	350	400
სომხეთის სსრ ში . . . . .	175	175	150

ექუსრუნველყყონ „გ“ და „დ“ პუნქტებში აღნიშნული სკოლები და კურ-  
სები სათანადო სადგომებით.

2. წინადადება მიეცეს აზერბაიჯანის სსრ მთავრობას იხმაროს ღონისძიება  
—ერთი დეკადის ვადაზე მუშათა და გლეხთა მილიციის სარაიონო ორგანოების  
შტატების დამტკიცებისათვის.

3. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმარ-  
თველოს მილიციის განსაკუთრებულ ინსპექციას—წარუდგინოს ერთი დეკადის  
ვადაზე ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ღონისძიებათა პროექტი მილიციის  
კახარმულ მდგომარეობაზე გადაყვანისა და მილიციის კურსებისა და სკოლების  
სათანადო სადგომებით უზრუნველყოფის შესახებ.

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს:

ა) იხმაროს ღონისძიება, რათა მილიცია თავის დროზე და გეგმაშეწონი-  
ლად უზრუნველყოფილ იქნეს კრედიტებით, ნამეტნავად სამუშაო ხელფასით,—  
მილიციისათვის გადადებული ყველა ასისიგნი ორი დეკადის ვადაზე თავმოყრილ  
იქნეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მილიციისა და სისხ-  
ლის საქმეთა სამძებროს მთავარ სამმართველოებში;

ბ) გაითვალისწინოს 1932 წლის ბიუჯეტში ასისიგნები ამიერკავკასიისა და  
რესპუბლიკანური სამილიციო სკოლებისა და კურსებისათვის—მილიციის სამერი-  
გეო და უმცროსი, საშუალო და უფროსი საკომანდო-პოლიტიკური შედგენი-  
ლობის მოსამზადებლად;

გ) უზრუნველჰყოს, დამტკიცებული ნუსხის შესაბამისად, მილიციის მომუშავეთათვის 1931 წლის აპრილის 1-დან სამუშაო ხელფასის განაკვეთების გაღიძვება იმ სავალდებულო პირობით, რომ განსხვავება მიეცეთ მათ არა უგვიანეს ამა წლის ივლისის 1-სა.

5. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს და ამიერკავკასიის სამოქმედო კოოპერაციის კავშირს—დაუყოვნებლივ შეიმუშაონ, სსრკ-ის მომარაგების სახალხო კომისარიატისა და სსრკ-ის სამოქმედო კოოპერაციის ცენტრალური კავშირის დირექტივების შესაბამისად, ღონისძიებანი მილიციის მომუშავეებისა და მათი ოჯახის წევრებისა, მილიციის სკოლებისა და რეზერვის მოსამარაგებლად და აგრეთვე მათთვის მომსახურების გასაწევად მიჰდინარე წლის მე-3 კვარტალიდან დახურული გამანაწილებლების ქსელის მეშვეობით.

6. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ფანანსთა სახალხო კომისარიატს, ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს—უზრუნველჰყონ მილიციის სადგომების ახალი მშენებლობა და ძველი სადგომების რემონტი დაფინანსებით, მუშა-ძალის მიჩენით და საშენი მასალით სამხედრო უწყების საპირობათათვის გათვალისწინებული წესისამებრ.

7. მიენდოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ აღსრულების შემოწმებელ კომისიას მოისმინოს ა. წ. სექტემბრის 1-თვის ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს მილიციის განსაკუთრებული ინსპექციის ცნობა ამა დადგენილების აღსრულების მსვლელობის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის მდივანი გ. სულთანოვი.

1931 წ. ივნისის 29.  
ტფილისი.

## დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

### 156. საქართველოს სსრ-ის სიღნაღის რაიონის წნორის-წყალის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის მოხსენების შესახებ.

მოისმინა და განიხილა—რა წნორის-წყლის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ი. ჯანაშვილის მოხსენება და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის პასუხისმგებელი ინსტრუქტორის ამხ. ვ. ჩიქოვანის თანამოხსენება, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავს:

1. წნორის-წყალის სასოფლო საბჭოს აქვს მთელი რიგი დიდი მიღწევები:

ა. მთელი რიგი სამეურნეო პოლიტიკური კამპანიების ჩატარების სფეროში (შესრულებულია გეგმები: საქონლის დამზადებისა—100%-ით, მატყლის დამზადებისა—150%-ით, სახსართა მობილიზაციისა—102%-ით, ყოველგვარი კულტურის თესვის საკონტროლო დაეაღებებისა—111%-ით და სხვ.).

ბ. კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის სფეროში (სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია—20,1%-ით—წარსული წლის 8%-თან შედარებით, კოოპერირებულ მეურნეობათა რიცხვის გადიდება—200%-ით—წარსულ წელთან შედარებით, საღაშქრო სამხარეულოებისა და მოძრავი კინოების ორგანიზაცია მინდვრის სამუშაოების წარმოების დროს, კოლექტიურ მეურნეობების გამგეობათა მოხსენებების მოსმენა და სხვ.).

გ. მასხური მუშაობის სფეროში. [მოცულია საბჭოს სექციაში 104 კაცი აქტივიანი (გადიდება უდრის 40% წარსულ წელთან შედარებით), საბჭოს პლენუმების პერიოდული (სამს თვეში ერთხელ) ანგარიშების ჩატარება ამომრჩეველების წინაშე—ამ უკანასკნელთა განაწესების შესრულების შესახებ, ღარიბთა ჯგუფების როლისა და მნიშვნელობისა და აქტიური მონაწილეობის გაძლიერება სოფლად უაღრესი მნიშვნელობის ღონისძიებათა განხორციელებაში (ხუთი თვის განმავლობაში დამუშავებულია 77 საკითხი) და სხვ. ამისთ., და თავისი მოქმედების ყველა სხვა სფეროში (სასკოლო მშენებლობისა, სოფლების რადიოფიკაციისა და ელექტროფიკაციის გაძლიერება, ქობ-სამკითხველოებისა და წითელი კუთხეების მოწყობა—20, კლუბისა—300 კაცისათვის, წერა-კითხვის უკოდინარობის ლიკვიდაციისა და საყოველთაო სავალდებულო სწავლებით მოცულობის კვარტ. გეგმის შესრულება, კოოპერირება და ღარიბთა დახმარება, სასოფლო ბიუჯეტის გადიდება 150%-ით წარსულ წელთან შედარებით და სხვ. ამისთ.)

2. რადგანაც აღნიშნული მიღწევებით მთლად არ ამოიწურება სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დღევანდელი ეტაპი, რომელმაც წარმოშვა ლოზუნგი „სასოფლო საბჭოებმა პირი უნდა იბრუნონ კოლექტიურ მეურნეობებისაკენ“ და დღის წესრიგში დააყენა საკითხი, რომ აუცილებელია სასოფლო საბჭოებმა თავიანთი მუშაობის ცენტრი გადაიტანონ თავიანთ მასსურ ორგანიზაციებზე—სექციებზე,—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავს მთელ რიგ ნაკლთ სასოფლო საბჭოს მუშაობის ცალკეულ დარგებში და მათ შორის ძირითად ნაკლად სოფლის:





### ა. საკოლმეურნეო მშენებლობის სფეროში:

ა) საკმარისად არ არის გაშლილი მუშაობა მოჯამაგირეთა, ღარიბთა და საშუალოთა შორის მათი კოლექტიურ მეურნეობებში ჩაბმისათვის;

ბ) არ არსებობს ერთი სახის სისტემა ნაპრობითობაზე გადასვლისა (აშხ. ელიავას სახელობის კოლექტიურ მეურნეობაში შემოღებულია ინდივიდუალური, ხოლო აშხ. სუხიშვილის სახელობის კოლექტიურ მეურნეობაში—ბრიგადული ნაპრობითობა; ზოგიერთს კოლექტიურ მეურნეობას სრულიად არ გაუფორმებია ნაპრობითობაზე გადასვლა;

გ) სათანადო ყურადღება არ აქვს მიქცეული კოლექტიურ მეურნეობებში განუყოფელი ფონდების მოწყობას და განსაზოგადოებული ფონდების გადიდებას (აშხ. სუხიშვილის სახელობისა და მერ ლეგინის სახელობის კოლექტიურ მეურნეობებში, რომლებიც მოწყობილია 1928 წ., განუყოფელი ფონდების შექმნა მხოლოდ 1931 წლიდან დაიწყეს);

დ) კოლექტიურ მეურნეობებში არ არსებობს ღარიბთა ჯგუფებს შორის მუშაობის სისტემა; მათი მუშაობა ნაკლებად მოძრავია, რადგანაც ღარიბთა ჯგუფები აქამდე ორგანიზაციულად ეწყობოდნენ ამა თუ იმ კოლექტიური მეურნეობის მოჯამაგირეთა და ღარიბთა საერთო რიცხვიდან (ე. ი. საერთო კრებიდან) და სხვ..

### ბ. საორგანიზაციო მასსური მუშაობის სფეროში:

ა) თუმცა სოფლის აქტივიდან სექციებში შემოკრებილია 104 კაცი, მაინც სექციების მუშაობა საკმაოდ არ არის გაშლილი;

ბ) არ არსებობს სექციების წევრთა შორის შესასრულებელი მუშაობის განაწილება და აღნუსხვა;

გ) გაშლილი არ არის მუშაობა კოლექტიური მეურნეობების მიზნობრივი გამოკვლევისათვის;

დ) თუმცა თვითეულ კოლექტიურ მეურნეობაში ირიცხება არა ნაკლებ, ვიდრე საბჭოს სამ-სამი წევრი, მაინც ჯერ კიდევ მოწყობილი არ არის საბჭოს სადებუტატო ჯგუფები;

ე) სექციების პრაქტიკულ მუშაობაში გაშლილი არ არის შრომის სოციალისტური მეთოდები (სოციალისტური შეჯიბრება, დამკვრელობა, ბუქსირი და სხვ.).

მოპოვებულ მიღწევათა განმტკიცების მიზნით და იმ მიზნით, რათა სასოფლო საბჭომ გადაჭრით იბრუნოს პირი საკოლმეურნეო მოძრაობისაკენ და სოფლის აქტივი უფრო მეტად ჩაებას საბჭოს მუშაობაში, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში ადგენს:

1. წინადადება მიეცეს წნორის-წყალის სასოფლო საბჭოს—გააძლიეროს მუშაობა მოჯამაგირეთა, ღარიბთა და საშუალო გლეხთა შორის კოლექტიურ მეურნეობებში მათი ჩაბმისათვის, რისთვისაც ფართოდ გაშლილ და გაძლიერებულ უნდა იქნეს ღარიბთა ჯგუფებისა და საბჭოს სექციების მუშაობა, გამოიყოს სპეციალური ბრიგადები, რომელნიც აწარმოებენ სისტემატიურ საუბრებსა

და განმარტავენ კოლექტიური მეურნეობის მნაშენელობას დღევანდელ ეტაპზე და აგრეთვე იმ შეღავათებასა და უპირატესობას, რასაც საბჭოთა სახელმწიფო კოლექტიურ მეურნეობებს ანიჭებს, და რა უპირატესობა აქვს შრომის კოლექტიურ ფორმებს და სხვ. ამისთ.

2. გაძლიერებულ იქნეს კონკრეტული მუშაობა კოლექტიურ მეურნეობებში ნაპრობითობის შთანერგვისათვის, რაც გაადიდებს თვითიური მომუშაების შრომის ნაყოფიერებას; ამისდაშესაბამისად სულ მოკლე ვადაზე გაფორმებულ უნდა იქნეს ნაპრობითობაზე გადასვლა, კოლექტიური მეურნეობების წევრებსა და გამგეობებს შორის ხელშეკრულობების დადებით.

ამისთან ერთად გაშლილ უნდა იქნეს მუშაობა შრომის აღნუსხვის ფორმების შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისათვის; განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შესრულებული სამუშაოს თვისებას და დაპრემირებულ უნდა იქნენ ისინი, ვინც თავს გამოიჩენს მუშაობაში, — ხოლო იმათ, ვინც არაკეთილსინდისიერი მუშაობით ზიანს მიაყენებს კოლექტიურ მეურნეობას, უნდა დაედვათ მატერიალური გადასახდელი.

3. გაძლიერებულ იქნეს მუშაობა განსაზოგადოებული ფონდების გადიდებისა და განუყოფელი ფონდების შექმნისათვის, რაც კოლექტიური მეურნეობის ეკონომიური ძალოვნების მაჩვენებელია.

4. გაფორმებულ იქნეს ორგანიზაციულად ღარიბთა ჯგუფები XVI პარტიული ყრბლობის დირექტივების საფუძველზე, ისე-კი, რომ მოჯამაგირეთა და ღარიბთა საერთო კრების მაგიერობას ისინი არ ანსახიერებდნ.

5. ყველა იმ კოლექტიურ მეურნეობაში, სადაც საბჭოს წევრი სამი მანც არის, უნდა მოეწყოს საბჭოს სადებუტატო ჯგუფი და იგი უნდა ვახდეს სასოფლო საბჭოს დასაყრდნობ უჯრედად კოლექტიურ მეურნეობაში, ხოლო არავითარ შემთხვევაში იგი არ უნდა ეწეოდეს ღარიბთა ჯგუფის მაგიერობას და არ უნდა ერეოდეს კოლექტიური მეურნეობის ადმინისტრაციულ და ოპერაციულ მუშაობაში.

6. რადგანაც კირანხულის დამუშავება-აღების კამპანიის მომზადების საკითხებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და ამაზე დამოკიდებულია მოსავლის აღების წარმატებით ჩატარება, მაქსიმალურად უნდა იქნეს გაშლილი სექციებისა და ღარიბთა ჯგუფების მუშაობა სამომზადებლო სამუშაოების ვარშემო, რისთვისაც ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული შრომის სოციალისტური მეთოდები (სოციალისტური შეჯიბრება, დაძკველობა, ბუქსირი და სხვ.), გამოიყოს კოლმეურნეთა მუშაობის საჩვენებელი ნაკვეთები და გაძლიერდეს მათი დახმარება მოჯამაგირებისა, ღარიბებისა და ინდივიდუალური საშუალო მეურნეებისათვის; მოსავლის აღების მომზადების წესით უნდა შეუშუადეს ნაპრობითი-პრემიალური სისტემა, პროგრესიული ნაპრობითობის ფორმის შეფარდებით, რაც უნდა ითვალისწინებდეს ნაპრობითი შეფასების გადიდებას ნორმის ზედმეტად, ნამუშევარის ნორმის გადიდების კვალობაზე.

7. რათა სოფლის საბჭოთა აქტივი, — განსაკუთრებით კოლმეურნე-ქალები, მოჯამაგირე-ქალები და ღარიბი ქალები, — სათანადოდ იქნეს მომზადებული საბჭოთა მშენებლობისა და სამართლის სფეროში სასოფლო საბჭოს წინაშე მდგა-



რი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების განხორციელების ხაზით,—მოეწყოს, ზაფხულისა და შემოდგომის მუშაობის პერიოდის დადგომამდე, სამღლიანი კურსები საბჭოს სექციების ბიუროს თავაჯდომარეებისა და წევრებისათვის და კოლექტიური მეურნეობების სადებუტატო ჯგუფებისათვის.

8. წინადადება მიიცეს საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს, ორი დეკადის ვადაზე, შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი, რათა სასოფლო საბჭოს მუშაობის ცენტრი გადატანილ იქნეს მის სექციებზე და საბჭოს და კოლექტიური მეურნეობების პრაქტიკულ მუშაობაში განვითარდეს და შთაინერგოს შრომის სოციალისტური მეოოდები (სოციალისტური შეჯიბრება, დამკერელობა, ბუქსირი და სხვ.); ამ ღონისძიებათა დამუშავების დროს პრეზიდიუმმა უნდა იქონიოს ამოცანად, რომ წწორისწყალის სასოფლო საბჭო გადაიქცეს საცდელ-საჩვენებელ სასოფლო საბჭოდ.

9. აღინიშნოს, რომ არ არსებობს დებულება საბჭოს სექციებისა და კოლექტიური მეურნეობების სადებუტატო ჯგუფების მუშაობის შესახებ და აგრეთვე, რომ საქირაო საბჭოს მუშაობა აგებულ იქნეს ახალი ორგანიზაციული სახით; ამის გამო წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებას შეიმუშაოს და წარმოუდგინოს, ერთი თვის ვადაზე, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს დასამტკიცებლად დებულება სასოფლო საბჭოების შესახებ და გაითვალისწინოს ამ დებულებაში შემოაღნიშნული მომენტები.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მაზარაძე.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი  
კომიტეტის მდივანი გ. სულთანოვი.

1931 წ. ივნისის 22.

ტყვილისი.

## დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**1.57.** ა/კსფსრ წყალთა მეურნეობის ორგანოების რეორგანიზაციის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველო ლიკვიდირებულ იქნეს და, მისი დებულების თანახმად, მისი ფუნქციები გადაეცეს ამიერკავკასიის მებამბეობის კომიტეტს.

2. ამიერკავკასიის მებამბეობის კომიტეტის შედგენილობაში მოეწყოს სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ორი ტრესტი: ამიერკავკასიის სახელმწიფო წყალ-

სამეურნეო ნაგებობათა მშენებლობის ტრესტი და ამიერკავკასიის სახელმწიფო წყალსამეურნეო ნაგებობათა ძიებლობისა და პროექტირების ტრესტი, რომელთა ხელშეწყობა თავი უნდა მოეყაროს ყველა დიდრონ წყალსამეურნეო სამუშაოს როგორც პროექტირებისა და ძიებლობისა, ისე მშენებლობისათვის, და ჩამოერთვის ეს სამუშაოები ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების წყალთა მეურნეობის სამმართველოებს.

3. სარწყავი სისტემების ექსპლოატაცია, წვრილ-წვრილი საირიგაციო სამუშაოები, სარწყავი სისტემების რეკონსტრუქცია (ამიერკავკასიის მებაზმეობის კომიტეტის მინიშნებით), არსებული სარწყავი ქსელის მექანიზირებული მემინდერეობის შემოღებასთან შეგუების საქმე, მექანიკური რწყვა, ქაღრიზები, ჩარხები და წყლის არარეგულირებულ მოქმედებასთან ბრძოლა დატოვებულ იქნეს წყალთა მეურნეობის რესპუბლიკანური ორგანოების გამგებლობაში და ეს ორგანოები დაექვემდებაროს ა/კფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს და ამიერკავკასიის მებაზმეობის კომიტეტს.

4. დატოვებულ იქნეს წყალთა მეურნეობის რესპუბლიკანური სამმართველოების გამგებლობაში ძიებლობა, პროექტირება და მშენებლობა როგორც დიდრონი, ისე წვრილ-წვრილი სამელიორაციო (მორწყვა და დაშრობა) სამუშაოებისა სხვა ტექნიკური და სასურსათო კულტურებისათვის არა-საბამე რაიონებში, აგრეთვე მიწების მოწყალვის სამუშაოები.

5. დიდრონ საირიგაციო სამშენებლო სამუშაოებიდან ამიერკავკასიის სახელმწიფო წყალსამეურნეო ნაგებობათა მშენებლობის ტრესტს გადაეცეს ალაზნის ხეობისა, მილის ველისა და „კირთა“ მიწების მორწყვის სამუშაოები და აგრეთვე ყველა ახლად დასაწყები სამშენებლო-საირიგაციო სამუშაო.

6. დიდრონ საძიებლო და საპროექტირო სამუშაოებიდან ამიერკავკასიის სახელმწიფო წყალსამეურნეო ნაგებობათა ძიებლობისა და პროექტირების ტრესტს გადაეცეს ობიექტები: ტერტირი, მულან-მილის მიწების განოციერების უზრუნველყოფის საქმე, ყარა-ქალა და ყარაია და დიდრონი ობიექტების ყველა ახლად დასაწყები სამუშაო.

7. აზერბაიჯანის სსრ წყალთა მეურნ. სამ-ლოს გამგებლობაში დატოვებულ იქნეს მექანიკური მორწყვის განვითარების საძიებლო-საპროექტირო და სამშენებლო სამუშაოები მტკვრის ნაპირა ზოლში და ნახჩივანის სსრ-ში; საძიებლო, საპროექტირო და სამშენებლო სამუშაოები სისტემების რეკონსტრუქციისათვის ნახჩივანის სსრ-ში; მტკვრის მარჯვენა ნაპირის შემდინარე ტოტებზე და შირვანის ველზე, რაც მჭიდროდ დაკავშირებულია ავ სისტემების საექსპლოატაციო ღონისძიებებთან; სამშენებლო და საძიებლო-საპროექტირო სამუშაოები მდინ. მტკვრისა და არაქსის შემოგუბურებისათვის და არსებული სარწყავი სისტემების ექსპლოატაციასთან დაკავშირებული სამუშაოები მულანის ველზე; წინადადება მიეცეს აზერბაიჯანის სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს და ამიერკავკასიის მებაზმეობის კომიტეტს— გადასცენ ხოლმე ამიერკავკასიის სახელმწიფო წყალსამეურნეო ნაგებობათა მშენებლობის ტრესტს და ამიერკავკასიის სახელ-

მწიფო წყალსამეურნეო ნაგებობათა ძიებლობისა და პროექტირების ტრესტს ცალკეული დიდრონი საძიებლო-საპროექტირო და სამშენებლო სამუშაოები მულანში განსაკუთრებული ხელშეკრულების საფუძველზე თვითიულ ცალკე შემოხვევაში.

8. საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს გამგებლობაში დატოვებულ იქნეს კოლხიდის დაბლობებისა და ქართლის ყველა საძიებლო-საპროექტირო სამუშაო და აგრეთვე სამგორის პროექტის დამუშავებისა და ტირიფონის ხეობის მორწყვისა და სამშენებლის სისტემების დამთავრების სამუშაოები.

9. სომხეთის სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს გამგებლობაში დატოვებულ იქნეს პატარა-სარდარაბადის არხისა, მექანიკური სარწყავისა ტბა აგრიველიდან და დიდი-სარდარაბადის საძიებლო-საპროექტირო სამუშაოები ყარასუს და ზანგბასარის მიწების სარწყავისა და არაზდაიანის ველის სარწყავის პროექტის ბოლომდე დამუშავება.

10. ამა დადგენილების თანახმად ამიერკავკასიის სახელმწიფო წყალსამეურნეო ნაგებობათა მშენებლობის ტრესტისა და ამიერკავკასიის სახელმწიფო წყალსამეურნეო ნაგებობათა ძიებლობისა და პროექტირების ტრესტისთვის რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოებიდან გადასაცემი ყველა საძიებლო-საპროექტირო და სამშენებლო სამუშაო უნდა გადაიცეს 1931 წ. ივნისის 1-ის ბალანსით, მთელი ტექნიკური პერსონალით, გაწყობილობით, ინსტრუმენტებით, ფულადი სახსარით და მასალითურთ.

11. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის მეზამგეობის კომიტეტს—მოაწყოს თავის შედგენილობაში საირიგაციო სამმართველო რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად სარწყავი სისტემების ექსპლოატაციისა და რეკონსტრუქციისა, წვრილ-წვრილი საირიგაციო სამუშაოების წარმოებისა და არარეგულირებულ წყალთა მოქმედებასთან ბრძოლის სფეროში.

12. ამიერკავკასიის წყალთა სატეხნიკო საბჭო გადაიცეს ამიერკავკასიის მეზამგეობის კომიტეტის გამგებლობაში და გადაკეთებულ იქნეს სატეხნიკო საბჭოდ. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის მეზამგეობის კომიტეტს წარმოდგინოს ა/კსფსრ სახალხო კომისარათა საბჭოს სატეხნიკო საბჭოს დებულების პროექტი, მუშაობის შედგენილობა, მისი მუშაობის სტატუტი და დებულებანი ამ საბჭოში პროექტებისა, ხარჯთაღრიცხვებისა და პროგრამების მსგელოლობის შესახებ.

13. სალიკვიდაციოდ დანიშნული ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს გამგებლობაში ამჟამად ქონებული მთელი მექანიკური გაწყობილობა, როგორც არის; საექსპლუატაციო პარკი და სამუშაოთა მექანიზაციის ყველა სხვა იარაღი, გადაეცეს ამიერკავკასიის სახელმწიფო წყალსამეურნეო ნაგებობათა მშენებლობის ტრესტს, რომელსაც წინადადება მიეცეს—დაამყაროს კონტროლი და მეთვალყურეობა ამ გაწყობილობის მიზანშეწონილად და წესიერად გამოყენებისათვის ცალკეულ მშენებლობებზე, რაც მის და რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოების ხელთაა.



14. ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის საცდელ-სამეცნიერო ინსტიტუტი, ტფილისის, ფოთის, ბაქოს და ერივანის ჰიდროტექნიკუმები და აგრეთვე ამიერკავკასიის საინჟინერო-სამელიორაციო ინსტიტუტი გადაიციეს ამიერკავკასიის მებაამეობის კომიტეტის გამგებლობაში და დაივალოს მას—აწარმოოს წყალთა მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევო ნაწილის ყველა სამუშაო და აგრეთვე კადრების მომზადება და განაწილება წყალთა მეურნეობისათვის.

15. დაევალოს ამიერკავკასიის მებაამეობის კომიტეტს მოაწყოს ხუთი დღის ვადაზე ამიერკავკასიის სახელმწიფო წყალსამეურნეო ნაგებობათა მშენებლობისა და ამიერკავკასიის სახელმწიფო წყალსამეურნეო ნაგებობათა ძიებლობისა და პროექტირების ტრესტები და მოახდინოს ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს ლიკვიდაცია; თანაც ერთი თვის ვადაზე წარმოუდგინოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად ა/კსფსრ წყალთა მეურნეობის შესახებ არსებულ კანონმდებლობაში შესატანი ყველა საჭირო ცვლილება, რაც ამა დადგენილებიდან გამომდინარეობს.

16. დაევალოს ამიერკავკასიის მებაამეობის კომიტეტს წარმოუდგინოს ერთი დეკადის ვადაზე ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად ამიერკავკასიის სახელმწიფო წყალსამეურნეო ნაგებობათა მშენებლობის ტრესტისა და ამიერკავკასიის სახელმწიფო წყალსამეურნეო ნაგებობათა ძიებლობისა და პროექტირების ტრესტის წესდებანი და დებულებანი და აგრეთვე როგორც ტრესტებისა, ისე წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის ხელმძღვანელი შედგენილობა.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს საქმეთა მმართველი ა. შავერდოვი.

1931 წ. ივნისის 19.

№ 380.

ტფილისი.

### დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

**158.** ა/კსფსრ-ში გეო-ტოპოგრაფიული და კარტოგრაფიული სამუშაოების მოწესრიგების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

1. დაევალოს ყველა იმ დაწესებულებას, გარდა სამხედროსი, რომელიც აწარმოებს გეოდეზიურ, ნიველირულ, ტოპოგრაფიულ და კარტოგრაფიულ სამუშაოებს:

ა) ორი დეკადის ვადაზე დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა, აცნობოს ამიერკავკასიის გეოდეზიურ სამმართველოს თავისი დაწესებულებების ზედმიწევნითი მისამართები და სამუშაოების გეგმები 1931 და 1932 წლებისათვის;

ბ) სამი თვის ვადაზე დღიდან ამიერკავკასიის გეოდეზიურ სამმართველოსაგან გეო-კარტოგრაფიული ცნობების აღნუსხვეს და რეგისტრაციის ფორმების მიღებისა, აცნობოს მას ის გეოდეზიური, ტოპოგრაფიული, ნიველირული და კარტოგრაფიული სამუშაოები, რაც შესრულებულია დაწყებული 1921 წლიდან 1931 წლამდე.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—მისცენ რესპუბლიკანურ დაწესებულებებს განკარგულება ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა ზედმიწევნით შესრულების შესახებ.

3. ტოპოგრაფო-გეოდეზიურ სამუშაოთა მწარმოებელი დაწესებულებების მიერ თავიანთი სამუშაოების გეგმებისა და შესრულებულ სამუშაოების შესახებ ცნობების წარუდგენლობისათვის დამნაშავე პირნი მიცემულ უნდა იქნენ პასუხისგებაში.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
საქმეთა მმართველი ა. შავერლოვი.

1931 წ. ივნისის 26.

**№ 382.**

ტფილისი.

## დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსნი.

### 159. ა/კსფსრ-ში ხანძარისაგან ტყეების დაცვის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მთლად ა/კსფსრ ტერიტორიაზე ცეცხლისაგან ტყეების დაცვისათვის კონტროლისა და ხელმძღვანელობის გაწევა დაეკისროს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს.

2. ცეცხლისაგან ტყეების დაცვის ღონისძიებათა უშუალო აღსრულება დაკისრებული აქვთ შემდეგ ორგანოებს:

ა) ამიერკავკასიის ტყე-ქაღალდის ტრესტს და მის ადგილობრივ ორგანოებს—ამ ტრესტის გამგებლობად გადაცემულ ტყეებში;

ბ) გზათა სახალხო კომისარიატის ამიერკავკასიის სარაიონო სატყეო სამმართველოს და მის ადგილობრივ ორგანოებს—ამ სამმართველოსათვის ხანგრძლივ სარგებლობად გადაცემულ ტყეებში;

გ) ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების საკურორტო სამმართველოებს—საკურორტო მნიშვნელობის ტყეებში;

დ) ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს—ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებში.

ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებანი გაითვალისწინება ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ, დაინტერესებულ ორგანოებთან შეთანხმებით, გამოცემულ ინსტრუქციაში.

3. ამიერკავკასიის ტყე-ქალაღის ტრესტს, გზათა სახალხო კომისარიატის ამიერკავკასიის სარაიონო სატყეო სამმართველოს, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლ. ჯანმრთ. სახ. კომ-ბის საკურორტო სამმართველოებს და ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიან მათ საგამგებლო ტყეებში ან მათთვის ხანგრძლივ სარგებლობად გადაცემულ ტყეებში ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელება დააკისრონ არა მათ ქვემდებარე ხეტყის-მოსარგებლეთ და ტყის-დამმზადებელთ შემდე შემთხვევაში:

ა) ტყის ნაკვეთების დროებითი სარგებლობისათვის გადაცემის დროს—ხეტყის დასამზადებლად, ტყის ნაყოფოთა და თესლთა მოსაგროვებლად, საქონლის საძოვლად და სხვა სახით გამოსაყენებლად;

ბ) ტყის საგაზაფხულო კაფეისა და გამოტანის ნებადართვის დროს;

გ) საკაფი ადგილების დადგენილ ვადაზე გაუწმენდაობის შემთხვევაში.

იმ სახანძარო ღონისძიებათა ოდენობა და ხასიათი, რაც ამ შემთხვევებში შეიძლება დაეკისროს ტყის-დამმზადებელთ და ტყის-მოსარგებლეთ, აგრეთვე ამ ღონისძიებათა შესრულების წესი განისაზღვრება ტყეების გამგებელ ორგანოებსა და ტყის-დამმზადებლებსა და ტყის-მოსარგებლებს შორის დადებული ხელშეკრულებებით.

4. ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებათა განსახორციელებლად და ტყეებში ცეცხლის ჩასაქრობად ტყეების დაცვისათვის პასუხისმგებელ ორგანოებს უფლება აქვთ—გამოიყენონ, სსრკ-ის სახალხო კომისარიატის საბჭოს მიერ ა/წ. მისის 14-ის თარიღით „ცეცხლისაგან ტყეების დაცვის შესახებ“ გამოცემული დადგენილების მე-4 მუხლის თანახმად (სსრკ კან. კრ. 1931 წ. 31 №-ი, მუხ. 241):

ა) გზათა სახალხო კომისარიატისა, წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისარიატისა და ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის კავშირგაბმულობის ტექნიკური საშუალებანი;

ბ) რკინის გზების საერთო სატელეფონო ქსელი—ამ ქსელში, გზათა სახალხო კომისარიატის ორგანოებთან შეთანხმებით, ზაფხულის თვეებში თავიანთი სატელეფონო ქსელის ჩასართავად.

5. ისეთი ხანძრის ჩაქრობა, რომლის ლიკვიდაციაც, ცეცხლის სიმძლავრის გამო, მე-2 და 3 მუხლებში აღნიშნულ ორგანოებს არ შეუძლიან თავიანთი ღონისძიებით, დაეკისრება ადგილობრივ საბჭოებს.



ამ მიზნისათვის ადგილობრივ საბჭოებს უფლება აქვთ, სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს იმავე დადგენილების თანახმად, გამოიყენონ, წინა მუხლში იღნიშნული კავშირგაბმულობის საშუალებათა გარდა, აგრეთვე:

ა) რკინის გზისა და წყლის ტრანსპორტის მოძრავი შედგენილობა—ხანძრის ადგილას მუშა-ძალისა და სახანძარო ინვენტარის წარსავაზენად;

ბ) უწყებულ ადგილას მყოფი ყველა სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს, საზოგადოებრივი და კოოპერატიული ორგანიზაციის და კერძო პირის და საწარმოს სახანძარო ინვენტარი და მისი მომსახურე პერსონალი; მათ დაეტოვებათ იმ რაოდენობის ინვენტარი და პერსონალი, რაც საჭიროა შენობათა და საწარმოთა დასაცავად.

გ) უწყებულ ტერიტორიაზე მყოფი სამხედრო ნაწილი.

სამხედრო ნაწილის გამოწვევა ტყის ხანძრის ჩასაქრობად მოხდება „ადგილობრივი სამოქალაქო ხელისუფლების ორგანოებისათვის ჯარების მიერ დახმარების გაწევის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. ოქტომბრის 17-ის დადგენილებით გათვალისწინებული წესისამებრ.

6. სათანადო სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანო და კერძო პირი მოვალეა სახანძარო ინვენტარი, ტრანსპორტის მოძრავი შედგენილობა და კავშირგაბმულობის საშუალებანი (მუხ. 4 და 5) დასთმოს უსასყიდლოდ ყველა შემთხვევაში, როდესაც ხანძარია ჩასაქრობი.

**შენიშვნა.** ყველა შემთხვევაში კავშირგაბმულობის ტექნიკური საშუალება გამოიყენება რიგს გარეშე.

7. ხანძრის ჩასაქრობად ადგილობრივ საბჭოს შეუძლიან ვაიწვიოს ადგილობრივი მოსახლეობა. ადგილობრივი მოსახლეობის გაწვევის წესი, აგრეთვე ტყის ხანძრის ჩასაქრობად გამოყენებული მოსახლეობის შრომისა და სატრანსპორტო საშუალებათა სასყიდლის ვალების წესი განისაზღვრება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობით.

სასყიდელი ვაილება იმ ორგანოს ხარჯით, რომლის გამგებლობაშიაც ესა თუ ის ტყის აგარაკია ან ტყის ნაკვეთი.

8. გაუქმებულ იქნეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1925 წ. დეკემბრის 20-ს დამტკიცებული ინსტრუქცია ტყის ხანძართან ბრძოლის შესახებ.

9. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—შეუთანხმონ ერთი თვის ვადაზე ამა დადგენილებას თავიანთი კანონმდებლობა.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

## დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

### 160. 1931 წელს ა/კსფსრ-ში წყლის გამოსაღების ჩატარების შესახებ.

სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1931 წ. მაისის 23-ს დამტკიცებული წყლის გამოსაღების დებულების („იზვესტია-ს“ 143 №-ი 1931 წ. მაისის 26-სა) თანახმად და განსავითარებლად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სოფლად გადასახდევინებელი წყლის გამოსაღები გავრცელებულ იქნეს ა/კსფსრ-ში ყველა ქალაქსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილზე, სადაც სახელმწიფო ორგანოები, კოლხეპრტიული და კერძო ორგანიზაციები და პირები იყენებენ წყალსამეურნეო სისტემებს სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობის მიწების სარწყავად და სამელიორაციოდ, ან იყენებენ წყლის ენერჯიას სამრეწველო და ტექნიკური მიზნით. აღნიშნული გამოსაღების განაკვეთებსა და გამოანგარიშების და გადახდევინების წესს განსაზღვრავენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები.

2. წყალთა მეურნეობის ორგანოების მიერ აღმინისტრირებული სარწყავი ქსელიდან წყლის სარგებლობისათვის ყველა საბჭოთა მეურნეობა უნდა დაიბეგროს წყლის გამოსაღების მტკიცე განაკვეთით—5 კაპიკით—სარწყავი მემკენარეობისა და წყლის ძალის გამოყენებით მომუშავე საწარმოს შემოსავლის თვითულ პანეთზე.

საბჭოთა მეურნეობის შემოსავალი განისაზღვრება:

ა) სარწყავი მემკენარეობის მეურნეობისა—შემოსავლის იმ საშუალო ნორმების მიხედვით, რაც დაწესებულია „აკსფსრ-ში ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების 1-ლი მუხლით (ზარია ვოსტოკა“-ს 105 №-რი 1931 წ. აპრილის 17-სა) ინდივიდუალური შრომითი მეურნეობისათვის;

ბ) იმ საწარმოსი, რომელიც წყალს იყენებს მამოძრავებელ ძალად—მისი ანგარიშის მიხედვით.

საბჭოთა მეურნეობანი, არა უგვიანეს 1931 წ. ნოემბრის 1-სა, გამოიანგარიშებენ თავიანთ ხვედრ გამოსაღებს და გადაიხდიან: 1931 წლის ნოემბრის 1-თვის—50%<sup>0</sup>-ს და დეკემბრის 1-თვის—50%<sup>0</sup>-ს.

**შენიშვნა.** ა/კსფსრ-ისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატები ინსტრუქტორებს გაუწევენ საბჭოთა მეურნეობებს და შეამოწმებენ მათ მიერ გამოანგარიშებულ შემოსავლიანობას და გამოსაღების განაკვეთებს.

3. კოლექტიური მეურნეობებისათვის წყლის გამოსაღების განაკვეთების რაოდენობას განსაზღვრავენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები წყლის გამოსაღების დებულების მე-10 მუ-

ხლში აღნიშნული წესების თანახმად (დამტ. სსტკ ცენ. აღმ. კ-სა და სახ. კომ-ბა საბჭოს მიერ).

4. წყლის გამოსაღებს კოლექტიური მეურნეობანი გადაიხდიან იმ ვადაზე, რაც დაწესებულია ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გასასტუმრებლად. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს შეუძლიანთ, საჭირო შემთხვევაში, შესცვალონ ეს ვადები ცალკეული რაიონებისათვის.

5. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს შეუძლიანთ შეაწერონ წყლის გამოსაღები წყალმოსარგებლეთა იმ კოლექტიურ შენაერთებს (კოლექტიურ მეურნეობას და სამელიორაციო ამხანაგობას), რომელთაც იკისრეს ამა თუ იმ წყლის სისტემის მთლად ან ნაწილობრივ შენახვა, და ისინი ეწვეიან საამისო ხარჯებს. წყლის გამოსაღების შეწერის წესს და რაოდენობას განსაზღვრავენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები.

6. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები განსაზღვრავენ წყლის გამოსაღების განაკვეთებს სოფლად ინდივიდუალური შრომითი მეურნეობების სარწყავი მიწებისა და წყლის ძალით მომკმედ საწარმოთა შემოსავლის დასაბეგრად.

ცალკეული ადგილებისათვის ან ცალკეული წყლის სისტემებისათვის, აგრეთვე ცალკეული სახის საწარმოთათვის შეიძლება დაწესებულ აქნეს სხვადასხვა განაკვეთი.

წყლის გამოსაღების განაკვეთები დაწესდება ამ გამოსაღებით დასაბეგრი შემოსავლის თვითეულ მანეთზე.

7. ინდივიდუალური შრომითი მეურნეობების მიერ წყლის გამოსაღების გასტუმრებისათვის დაწესდება შემდეგი ვადები: 1931 წ. ოქტომბრის 1-თვის შეწერილი გამოსაღების 25% ი, ნოემბრის 15-თვის—45% ი და დეკემბრის 15-თვის—30% ი.

ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს უფლება აქვთ შესცვალონ, საჭირო შემთხვევაში, ეს ვადები ცალკეული რაიონებისათვის, ხოლი ისე-ქი, რომ რესპუბლიკისათვის დადგენილ საერთო ვადებზე შემოსასულელი წყლის გამოსაღების თანხები შემცირებულ არ იქნეს.

8. ამიერკავკასიის რკინის გზებისათვის წყლის გამოსაღები გამოიანგარიშება:

ა) სარწყავი ქსელიდან მიღებით, შეუწყვეტელი თვიდენით, მიღებული წყლისთვის—ერთ სეკუნდო-ლიტრზე 800 მანეთი;

ბ) წყალსაქანით მიღებული წყლისთვის—ერთ კუბო-მეტრზე 3 კაპიკი.

ამიერკავკასიის რკინის გზები, არა უგვიანეს 1931 წ. ნოემბრის 1-სა, გამოიანგარიშებენ წყლის გამოსაღებს თვითეულ წყალსაქანზე სარწყავი ქსელიდან წყლის სარგებლობისათვის და გადაიხდიან მთელ გამოსაღებს ორ ვადაზე: 1931 წ. ნოემბრის 1-თვის—50% ს და დეკემბრის 15-თვის—50% ს.

9. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს შეუძლიანთ გაანთავისუფლონ წყლის გამოსაღებისაგან მთლად



ან ნაწილობრივ ცალკეული კატეგორიების მეურნეობანი და საწარმონი, აგრეთვე ცალკეული ადგილების მოსახლეობა.

10. წყლის გამოსაღების რესპუბლიკანურ და ადგილობრივ ბიუჯეტებში შეტანის წესს განსაზღვრავენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი**.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი**.

1931 წ. ივნისის 29

**№ 381.**

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 182 №-ში 1931 წ. ივლისის 5-ს.

